

აგვისტოს ომში დადუპური ჟურნალისტის ადექსანდრე კრიმჩუკის ხსოვნას



გიგა ჩიხრაძე და ადექსანდრე
კრიმჩუკი

„...ნეტავ სად მიდიან სიყრმის მეგობრები“ – რატომღაც მეგონა ეს სიმღერა ჭაღარა ხანდაზმულებს მიესადაგებოდა. თუმცა აგვისტოს ომმა ეს მოსაზრება „შემისწორა“. ამ ომმა თითოეულ ოჯახში განუდევვერი სევდის ანაბეჭდი დატოვა. ჩვენი მედიის წრეშიც ტრიალებს ასეთი სევდა...

დღეს 12 წერი შესრულდა მას შემდეგ, რაც ნიჭიერი ჟურნალისტი და ფოტოკორესპოდენტი ადექსანდრე კრიმჩუკი ტრაგიკულად დაიღუპა აგვისტოს ომის პირველივე დღეს. მასთან ერთად დაიღუპა მისი განუყრედი მეგობარი და კორეგა გრიგორ ჩიხრაძე. ბიჭები საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებისთვის მუშაობდნენ – საშა იტარ–ტასის ფოტორეპორტიორი იყო, ხოლო გიგა RussianNewsweek–ს წარმოადგენდა.

2008 წლის 8 აგვისტოს 4 ჟურნალისტი საომარი მოქმედების გასაშუქებლად თბილისიდან ცხინვარში გაემართნენ. სამწუხაროდ, მათ ოსი სეპარატისტების შეიარაღებულმა ჯგუფმა ცეცხლი გაუხსნა, საშა და გიგა ადგირზე დაიღუპნენ, ხოლო ერთი საქართველოს და ერთი აშშ–ს ჟურნალისტი დაიჭრა. გიგა ჩიხრაძე 30 წლის იყო, ხოლო საშა ოღნავ უმცროსი – სურ რაღაც 27 წლის.

იმ მომენტისთვის ადექსანდრე კრიმჩუკი უკვე თანამშრომლობდა ისეთ ცნობიერ გამოცემებთან, როგორცაა Photoexpress–ი, EPA; მისი ფოტოსურათები იბეჭდებოდა Newsweek–ში, The New York Times –ში და Le Monde–ში. ასევე დაარსებული ჰქონდა საკუთარი ფოტოსააგენტო Caucasus Images.

ხარისიანი, მიზანდასახური, ოპტიმისტი საშა სკორიდანვე ჩაერთო ჟურნალისტურ საქმიანობაში, შრომას არ ერიდებოდა, უყვარდა ფოტოხელოვნება. ნებისმიერ ცხელ წერტილში მიდიოდა, აშუქებდა მოვლენებს, ოცნებობდა NationalGeographic–თან, Magnum–თან თანამშრომლობაზე...არ დასცადდა...

კადრის და რაკურსის შერჩევის არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა. მაშინ, სტუდენტობისას, მის ფოტონამუშევრებს სერიოზულად არ ვეკიდებოდით, ყველას ხომ საკუთარი წარმოდგენა გვქონდა მომავალზე, სამსახურზე, ცხოვრებაზე. ადექსანდრე კი ჩვენგან, ვარდისფერ ღრუბრებში მოღივრივე გოგონებისგან განსხვავებით, მეტად გამოცდილი იყო, ყოფით სირთულეებსაც უმკრავდებოდა, პრესაში მუშაობასაც ასწრებდა და ჩათვლების ჩაბარებასაც ახერხებდა. იდეებსა და გეგმებში იყო გახვეული, სიახლე იზიდავდა. საშა მშვენივრად ხატავდა, სარიტერატურო ასპარეზზეც უცდია ბედი. საშას დედას, ქ–ნ იურიას დღემდე სათუთად აქვს შენახული მისი მოთხრობები და ჩანაწერები.

12 წელი გავიდა, მას შემდეგ, რაც ადექსანდრე კრიმჩუკი ჩვენთან აღარ არის. მაგრამ, ყოვერ ჯერზე, როდესაც რუსთაველის გამზირზე მიწევს გავრა, სურ მაქვს მოვლოდინი, რომ სადმე ვინრო ქუჩაზე საქმეზე მიმავალი საშა შემხვდება, მომიკითხავს, თავის ამბებს მომიყვება, პოზიტივით ამავსებს... თანატოლებზე წარსულ დროში საუბარი, ოჰ, რა ძნელი ყოფიდა...

ასმათი ჯაღმაიძე

www.premiumi.ge